



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 13

2017 წლის 10 თოქტი

ქ. თბილისი

**2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო
კონკურსის გამოცხადების შესახებ**


„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/5 ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-3 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N227595, 10.03.2017) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს 2017 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის „პროექტის თავფურცელი და აბსტრაქტი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს შესაბამისად;
4. დამტკიცდეს „საპროექტო წინდადების“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს „დოქტორანტის პროფესიული ბიოგრაფია“ (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს „პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის „ბიუჯეტი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;


შემსრულებელი:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი



შეთანხმებულია:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი



სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის,
შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ნინო გჭეჭილაძე



8. დამტკიცდეს „დოქტორანტის დისერტაციის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიის“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს „უცხოელი კონსულტანტის და უცხოელი თანახელმძღვანელის თანხმობის წერილი“-ს ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს „ცნობა დოქტორანტურის თანადაფინანსების შესახებ“ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის დროს ყოველთვიური დაფინანსების ნორმები ქვეყნების კატეგორიების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
15. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
16. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

